საბჭოს ახალი წევრის მიღების პროცედურა

1. კანდიდატი განცხადებით (დანართის მიხედვით) მიმართავს (ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ან სააგენტოს კანცელარიას) საბჭოს თავმჯდომარეს;
2. საბჭოს თავმჯდომარე უზრუნველყოფს განცხადების დაგზავნას საბჭოს ყველა წევრისთვის;
3. საბჭოს უახლოეს სხდომაზე ჩატარდება კანდიდატურის განხილვის და კენჭისყრის პროცესი;
4. კანდიდატურის განხილვის პროცესი მოიცავს:
    1) კანდიდატის მიერ წარმოდგენილი მასალების განხილვას;
    2) კანდიდატის მოსმენას საბჭოს სხდომაზე (საჭიროების შემთხვევაში);
    3) ღია მსჯელობას კანდიდატის შესახებ (კანდიდატის თანდასწრებით ან მის გარეშე).
5. კენჭისყრის პროცედურა - ფარული.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარ ცხოველთა პოპულაციების მართვის პროცესის კოორდინაციის და მონიტორინგის მუდმივმოქმედი საზოგადოებრივი საბჭოს
თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ფხალაძეს

მოქალაქე _____ ,
პ/ნ _____ ,
მცხოვრები: _____
_____ ,
ტელეფონი: _____ ,
ელ-ფოსტა: _____

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ გამაჩნია სურვილი და ქმედითი შესაძლებლობა, აქტიური მონაწილეობა მივიღო თბილისში ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში.

ასევე გაცნობებთ, რომ ..... **(დეტალურად აღწერეთ ქვემოჩამოთვლილი საკითხები):**

1. ბიოგრაფია (განათლება, სამუშაო გამოცდილება, საზოგადოებრივი მოღვაწეობა);
2. შემხებლობა ცხოველებთან დაკავშირებულ საკითხებთან;
3. საბჭოში გაწევრიანების მოტივაცია;
4. საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობის ძირითადი, თქვენთვის სასურველი მიმართულება;
5. საბჭოს საქმიანობის მიმართ შესაძლო არსებული შენიშვნები, წინადადებები შესაძლო არსებული ხარვეზების და შეცდომების აღმოფხვრის მიზნით;
6. სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს საქმიანობის მიმართ შესაძლო არსებული შენიშვნები, წინადადებები შესაძლო არსებული ხარვეზების და შეცდომების აღმოფხვრის მიზნით.

დამატებით გაცნობებთ, რომ გავეცანი „თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარ ცხოველთა პოპულაციების მართვის პროცესის კოორდინაციის და მონიტორინგის მუდმივმოქმედი საზოგადოებრივი საბჭოს“ დებულებას, სრულად ვიზიარებ საბჭოს მიზნებს, საქმიანობის პრინციპებს და მეთოდებს და ვადასტურებ, რომ არ გამაჩნია საბჭოს წევრობისთვის ხელისშემშლელი გარემოებები.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, გთხოვთ „თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარ ცხოველთა პოპულაციების მართვის პროცესის კოორდინაციის და მონიტორინგის მუდმივმოქმედი საზოგადოებრივი საბჭოს“ დებულებით გათვალისწინებული წესით, განიხილოთ საზოგადოებრივ საბჭოში ჩემი გაწევრიანების საკითხი.

ხელმოწერა, თარიღი